PX 4465/1 2003წ. საპარლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი
მემარჯვენეები

# განახლების
# აღმშენებლობის
# დასაქმების

# 900 დღე

ახალი მემარჯვენეების საარჩევნო პლატფორმა • www.axlebi.com



თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ მათი

**2 ნოემბერს მომავალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გარდამტეხი 400 დღე თითოეული პიროვნებისა და ოჯახის ცხოვრების გასაუმჯობესებლად

ახალი მემარჯვენეების მსოფლმხედველობა პიროვნების კეთილდღეობაზე, მისი ოჯახის სიძლიერეზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობას გულისხმობს.

ახალი მემარჯვენეების პლატფორმა თითოეულ მოქალაქესა და მის ოჯახს უქმნის სოციალური დაცვისა და საოჯახო მეურნეობის განვითარების მყარ გარანტიებს არჩევნებიდან პირველ 400 დღეში მისაღებ კანონთა სახით:

- გაყინული პენსიებისა და ხელფასების კონკრეტულ ვადაში დაბრუნების პროგრამა;
- ფიზიკურ პირთათვის საშემოსავლო გადასახადის 20-დან 12%-მდე შემცირება;
- თითოეულ ბავშვზე ოჯახისათვის საშემოსავლო გადასახადზე წელიწადში 200 ლარამდე შეღავათის დაწესება. (რაც ერთ ბავშვზე თვეში 140 ლარ დაუბეგრავ მინიმუმს, ორ ბავშვზე - 280-ს, სამზე კი - 480 ლარს და ა.შ. გულისხმობს).

**მაგალითად:**

ოჯახი: ცოლი, ქმარი და ორი შვილი 18 წლამდე
ცოლის ხელფასი - 140 ლარი
ქმრის ხელფასი - 160 ლარი

**დღევანდელი გადასახადების პირობებში:**

ოჯახის წლიური დარიცხული ხელფასი - 3 600 ლარი
ხელზე აღებული ხელფასი - 2 917, 52 ლარი

**ჩვენი პროგრამის განხორციელების შემდეგ:**

ოჯახის წლიური დარიცხული ხელფასი - 3 600 ლარი
ხელზე აღებული ხელფასი - 3 532 ლარი

- სოციალური გადასახადის 27%-დან 15%-მდე შემცირება;
- მოქალაქის მიერ განათლებასა და ჯანდაცვაში გადახდილი თანხის საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლება;
- კეთილსინდისიერი გადამხდელისათვის კონტრაქტის საფუძველზე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის უწყვეტი მიწოდება;
- სახელმწიფო და კრიმინალური რეკეტის მოსპობა, მაკონტროლებელი ორგანოების მაქსიმალური შეზღუდვა;
- საბანკო კრედიტების აღების მაქსიმალური გაიოლება და ხელმისაწვდომობა.

ანუ, ჩვენ შევამცირებთ გადასახადებს, მოვსპობთ კორუფციას და გავზრდით შემოსავლებს ბიუჯეტში.



## ახალი მემარჯვენეები

**არის ერთადერთი ძალა, რომელიც არჩევნებიდან პირველი 400 დღის განმავლობაში მოიტანს კონკრეტულ შედეგს ადგილობრივი მეწარმისათვის, ოჯახისათვის, მოქალაქისათვის.**

### ეროვნული თვითმყოფადობა

ჩვენ ავაღორძინებთ ეკონომიკას, დავასაქმებთ ხალხს, შევქმნით არმიას და ვუზრუნველყოფთ მოსახლეობის უსაფრთხოებას, გავზრდით ხელფასებსა და პენსიებს, დავამყარებთ წესრიგს ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ის, რასაც ჩვენი ეროვნული სახე, ეროვნული თვითმყოფადობა ჰქვია - ქართული კულტურა, ქართული ხელოვნება, ქართული სპორტი.

ეროვნულ თვითმყოფადობაზე ზრუნვა უნდა აისახოს ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში - საგარეო, საშინაო, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში, და ყოველივე ეს უნდა განმტკიცდეს სათანადო საკანონმდებლო ბაზით.



## ახალი მემარჯვენეები

**არის ერთადერთი ძალა, რომელიც გთავაზობთ შანსს დავიწყოთ ახალი ცხოვრება!**
**გარწმუნებთ, ჩვენი არჩევიდან 900 დღის განმავლობაში მივაღწევთ შედეგს, რომელსაც ითხოვთ თქვენ, ჩვენი ამომრჩეველი:**

მკვეთრად გაიზრდება სამუშაო ადგილები; კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები დაისჯებიან; მასწავლებელი, ექიმი და ყველა სხვა პროფესიის ადამიანი მიიღებს ღირსეულ ხელფასს; სოციალურად დაუცველი მოქალაქეები მიიღებენ სამედიცინო დახმარებას; გასტუმრებული იქნება დღევანდელი ხელისუფლების მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი სახელფასო და საპენსიო დავალიანებები.

**თქვენი მხარდაჭერით**

## ახალი მემარჯვენეები

**განახორციელებენ განახლების, აღმშენებლობის, დასაქმების 900-დღიან პლატფორმას**

## ახალი მემარჯვენეების

**გამარჯვება თქვენი, თქვენი ოჯახისა და საქართველოს გამარჯვებაა.**

სრული სახით ახალი მემარჯვენეების პლატფორმის **განახლების, აღმშენებლობის, დასაქმების 900 დღე** გაცნობა შეგიძლიათ ორგანიზაციის რაიონულ ოფისებსა და პარტიის ვებ-გვერდზე: www.axlebi.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა რეალური შანსი - დაესაქმებინა მილიონობით ადამიანი, მიეღწია სამმილიარდიანი ბიუჯეტისათვის;
ჰქონდა შანსი - შეექმნა ძლიერი ქართული არმია და დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები;
ჰქონდა შანსი - ცხოვრების ღირსეული პირობები შეექმნა უფროსი თაობის წარმომადგენლებისა და უმწეო ადამიანებისათვის.

მათ ეს შანსი ჰქონდათ ერთხელ, მეორედ, მესამედ... მათ ეს შანსი ვერ, ან არ გამოიყენეს! მათი დრო უნდა დამთავრდეს! დღეს საქართველოს საზოგადოებამ გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადადგას:
ან უნდა
აირჩიოს ძალა, რომელსაც შესწევს უნარი, გაატაროს ის პოლიტიკა, რომელიც განამტკიცებს ქვეყნის დამოუკიდებლობას, აამუშავებს ეკონომიკას, დაძლევს უმუშევრობის პრობლემას, ხელისუფლებაში დაამკვიდრებს ზნეობრიობის პრინციპს, ადამიანებს დაუბრუნებს მომავლის რწმენას და მისცემს ღირსეულად ცხოვრების საშუალებას, უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას, განახორციელებს განათლების, ჯანდაცვის რეფორმას,
ან კვლავ
მხარი დაუჭიროს მათ, ვინც მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებასა და საკუთარი ინტერესების დაცვაზე ზრუნავს.

მოვიდა დრო რეალური საქმის კეთებისა, დრო - განახლებისა და აღმშენებლობისა!
საქართველოს ახლებური ხედვა და ახლებური აზროვნება სჭირდება. ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს გუნდი კეთილსინდისიერი და პროფესიონალი ადამიანებისა.

## ახალი მემარჯვენეები

**არის ის ძალა, რომელსაც ამგვარი გუნდის ხელისუფლებაში მოყვანა შეუძლია!**

## ახალი მემარჯვენეები

**არის ერთადერთი პარტია ახლებური ხედვითა და კონკრეტული სამოქმედო პროგრამით.**

# 900 დღე

**ახალი ათვლის წერტილი. ეს არის დრო, რის შემდეგაც ახალი მემარჯვენეები კონკრეტული შედეგებითა და წარმატებებით წარსდგებით ჩვენი ამომრჩევლის წინაშე.**

## ეკონომიკური აღმშენებლობა და ხალხის დასაქმება



საქართველოს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ესაჭიროება, პოლიტიკა, რომელიც დაასაქმებს ასეულ ათასობით ადამიანს.
ეს არის პოლიტიკა, რომელიც აამუშავებს ქარხნებსა და საწარმოებს, შეავსებს ქვეყნის ბიუჯეტს.
ჩვენი მიზანია, ყველა ადამიანს ჰქონდეს პირობები, რათა მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და თავისი აქტიური მონაწილეობით საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში მაქსიმალური სარგებელი მიიღოს მისთვის და მისი ოჯახისათვის.

**ახალი მემარჯვენეები არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, ვისაც ასეულ-ათასობით უმუშევარი ადამიანის რეალურად დასაქმება შეუძლია.**



## ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა

საქართველოს ეკონომიკური აღმშენებლობა და ხალხის დასაქმება მხოლოდ უსაფრთხოების, პოლიტიკური სტაბილურობის, კანონის უზენაესობისა და წესრიგის პირობებშია შესაძლებელი. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიამ უნდა განაპირობოს ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ამ რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული ცენტრის ფუნქციას შესძენს.



ახალი მემარჯვენეების პლატფორმაში წარმოდგენილია დეტალური გეგმა, რომელიც მოიცავს ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტების გარდაქმნას, ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-ატლანტიკურ (ნატო) ალიანსში 2006 წლამდე გაწევრიანებას, ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და გაძლიერებას ა.შ.შ.-სთან, მეზობელ ქვეყნებსა და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებთან.
ჩვენი გეგმა საშუალებას მოგვცემს, უახლოეს მომავალში საქართველოს ჰყავდეს მობილური, უმაღლეს დონეზე გაწვრთნილი და სათანადოდ აღჭურვილი არმია, რომელიც გახდება გარანტი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მშვიდობიანი მოგვარებისა.

## ახალი მემარჯვენეები

**არის ის ერთადერთი ძალა, ის პოლიტიკური გუნდი, ვინც დააბრუნებს ქართველებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და აღადგენს საქართველოს იურისდიქციას მის კუთვნილ მთელ ტერიტორიაზე!!!**

ეროვნული ბიბლიოთეკა









**ჩვენ,** საქართველოს მოქალაქეებმა, შევქმენით პოლიტიკური გაერთიანება 3ლ

# ახალი მემარჯვენეები,

**რათა** დავიცვათ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა, ავაშენოთ ეკონომიკა, დავასაქმოთ საქართველოს მოსახლეობა, ვიზრუნოთ უმწეო მოქალაქეებზე, უზრუნველვყოთ კანონიერების დაცვა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და პიროვნების თავისუფლება.

ი 179/1573

## ჩვენ ვართ ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია:

- საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში გარდატეხის შეტანა;
- უმუშევრობისა და სიღატაკის დაძლევა;
- უმწეო მოქალაქეებზე ზრუნვა;
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება;
- კორუფციის დამარცხება და ხელისუფლების ძირეული რეფორმა, კანონიერების და წესრიგის განმტკიცება.

# 2 ნოემბერს თქვენი მხარდაჭერით დაიწყება განახლების აღმშენებლობის დასაქმების 900 დღე